პროექტი №52

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში კომპიუტერული ტესტირების იმპლემენტაციის კვლევა და ექსპერიმენტული აპრობაცია

პროექტის ხელმძღვანელი - დ. კაპანაძე

დაფინანსება - 25000 ლარი

პროექტის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისა და სტუდენტების მომზადების ხარისხის კონტროლის მიზნით, კომპიუტერული ტესტირების სისტემის იმპლემენტაციისათ-ვის საჭირო კვლევა და ამ სისტემის ექსპერიმენტული აპრობაცია.

პროექტის გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად კომპიუტერული ტესტირების სისტემების ანალიზის საფუძველზე შეირჩა სწავლების მართვის სისტემა MOODLE და მოხდა მისი ინსტალაცია, ლოკალიზაცია, მონაცემთა ბაზის სარეზერვო ასლების წარმოების მექანიზმების და უსაფრთხოების საკითხების დამუშავება.შემუშავდა ტესტური დავალებების, ტესტების შედგენის, სისტემასთან მუშაობის ინსტრუქცია და ტესტირების ჩატარების პროცედურა. ფაკულტეტების წარმომადგენლებს, ფიზიკისა და მათემატიკის დეპარტამენტების პასუხისმგებელ პირებს ჩაუტარდა სემინარები და ტრენინგები კომპიუტერული ტესტირების სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. შეიქმნა გამოსაცდელისტუდენტების (≈3500 სტუდ.)კონტიგენტის ბაზა. ფიზიკასა და მათემატიკაში შეიქმნა ტესტური დავალებების ბაზა (≈1200 დავალება მათემატიკაში, ≈900 დავალება ფიზიკაში). პირველი კურსის ყველა სტუდენტს ამ ორ დისციპლინაში ჩაუტარდა I და II შუასემესტრული შეფასებები კომპიუტერული ტესტირების გზით პილოტირების რეჟიმში.ჩატარდა კომპიუტერული ტესტირების სისტემის აპრობაციის ანალიზი, რის შედეგადაც მოხდა კონტიგენტის მონაცემთა ბაზებისდა ტესტური დავალებების დახვეწა და განახლება.